

## **შეზუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება GNT**

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული**

**ფინანსური ანგარიშგებები**

**2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

შპს GNT

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## სარჩევი

|                                                          |   |
|----------------------------------------------------------|---|
| • ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....               | 3 |
| • 2021 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება .....           | 5 |
| • 2021 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ..... | 7 |
| • საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....           | 9 |

## ზოგადი ინფორმაცია

1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა
2. ძირითადი საშუალებები
3. არამატერიალური აქტივები
4. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები
5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
7. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება
8. ამონაგები
9. ფინანსური რისკები
10. განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები

**კომპანიის დასახელება შპს "GNT"**  
**საქმიანობის შედეგები**

|                                                  | 2021 წელი         | 2020 წელი         |
|--------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>შემოსავლები:</b>                              |                   |                   |
| მთლიანი გაყიდვები                                | 1599500.2         | 1699385.9         |
| ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი | 9230.49           | 15268.65          |
| <b>წმინდა გაყიდვები</b>                          | <b>1590269.71</b> | <b>1684117.25</b> |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება:                |                   |                   |
| მარაგები პერიოდის დასაწყისში                     | 1356490.53        | 1292234.01        |
| შესყიდვების ხარჯები                              | 1086500.03        | 1021217.3         |
| მარაგები პერიოდის ბოლოს                          | 1597364.68        | 1354138.71        |
| <b>გაყიდული საქონლის თვითღირებულება</b>          | <b>845625.88</b>  | <b>959312.6</b>   |
| <b>საერთო მოგება</b>                             | <b>744643.83</b>  | <b>724804.65</b>  |

|                                                      |                  |                  |
|------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>საოპერაციო ხარჯები</b>                            |                  |                  |
| სახელფასო ხარჯები                                    | 131499.46        | 128997.45        |
| ტრანსპორტირების ხარჯები                              | 32384.28         | 30440.24         |
| იჯარის ხარჯი                                         | 126723.77        | 125743.87        |
| რეკლამა                                              | 5710.34          | 1857.63          |
| კომუნალური ხარჯები                                   | 6848.91          | 5406.44          |
| საოფისე ინვენტარი, საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები | 8004.62          | 6007.52          |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                              | 3147             | 180              |
| კომპიუტერისა და მოწყობილობების ხარჯები               | 1056.3           | 640.68           |
| საბანკო მომსახურების ხარჯები                         | 3313.95          | 3156.62          |
| დაზღვევა                                             | 8123.25          | 2431.34          |
| უიმედო ვალების ჩამოწერა                              |                  |                  |
| ქონების გადასახადი                                   |                  |                  |
| რემონტი / 1000 ლარამდე                               |                  |                  |
| სხვა ხარჯი                                           | 6677.11          | 2006.65          |
| საკონსულტაციო ხარჯები                                |                  | 50               |
|                                                      |                  |                  |
| <b>მთლიანი საოპერაციო ხარჯები</b>                    | <b>333488.99</b> | <b>306918.44</b> |

|                          |                  |                  |
|--------------------------|------------------|------------------|
| <b>საოპერაციო მოგება</b> | <b>411154.84</b> | <b>417886.21</b> |
|--------------------------|------------------|------------------|

|                               |          |          |
|-------------------------------|----------|----------|
| ცვთა და ამორტიზაცია           | 12440.95 | 14029.83 |
| საპროცენტო შემოსავალი         | 2114.27  | 5211.32  |
| საპროცენტო ხარჯი              |          |          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 2407.42  | 17601.7  |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი      | 8170.29  | 10593.6  |
| მოგების გადასახადი            | 0        | 0        |
| დივიდენდი                     | 0        | 0        |

|                               |                  |                 |
|-------------------------------|------------------|-----------------|
| <b>წმინდა მოგება (ზარალი)</b> | <b>395065.29</b> | <b>416075.8</b> |
|-------------------------------|------------------|-----------------|

კომპანიის დასახელება შპს "GNT"  
საქმიანობის შედეგები

|                                                      | 2021 წელი         | 2020 წელი         |
|------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>შემოსავლები:</b>                                  |                   |                   |
| მთლიანი გაყიდვები                                    | 1599500.2         | 1699385.9         |
| ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი     | 9230.49           | 15268.65          |
| <b>წმინდა გაყიდვები</b>                              | <b>1590269.71</b> | <b>1684117.25</b> |
| <b>გაყიდული საქონლის თვითღირებულება:</b>             |                   |                   |
| მარაგები პერიოდის დასაწყისში                         | 1356490.53        | 1292234.01        |
| შესყიდვების ხარჯები                                  | 1086500.03        | 1021217.3         |
| მარაგები პერიოდის ბოლოს                              | 1597364.68        | 1354138.71        |
| <b>გაყიდული საქონლის თვითღირებულება</b>              | <b>845625.88</b>  | <b>959312.6</b>   |
| <b>საერთო მოგება</b>                                 | <b>744643.83</b>  | <b>724804.65</b>  |
| <b>საოპერაციო ხარჯები</b>                            |                   |                   |
| სახელმწიფო ხარჯები                                   | 131499.46         | 128997.45         |
| ტრანსპორტირების ხარჯები                              | 32384.28          | 30440.24          |
| იჯარის ხარჯი                                         | 126723.77         | 125743.87         |
| რეკლამა                                              | 5710.34           | 1857.63           |
| კომუნალური ხარჯები                                   | 6848.91           | 5406.44           |
| საოფისე ინვენტარი, საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები | 8004.62           | 6007.52           |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                              | 3147              | 180               |
| კომპიუტერისა და მოწყობილობების ხარჯები               | 1056.3            | 640.68            |
| საბანკო მოსახურების ხარჯები                          | 3313.95           | 3156.62           |
| დაზღვევა                                             | 8123.25           | 2431.34           |
| უიმედო ვალების ჩამოწერა                              |                   |                   |
| ქონების გადასახადი                                   |                   |                   |
| რემონტი / 1000 ლარამდე                               |                   |                   |
| სხვა ხარჯი                                           | 6677.11           | 2006.65           |
| საკონსულტაციო ხარჯები                                |                   | 50                |
| <b>მთლიანი საოპერაციო ხარჯები</b>                    | <b>333488.99</b>  | <b>306918.44</b>  |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                             | <b>411154.84</b>  | <b>417886.21</b>  |
| <b>ცვტა და ამორტიზაცია</b>                           | <b>12440.95</b>   | <b>14029.83</b>   |
| საპროცენტო შემოსავალი                                | 2114.27           | 5211.32           |
| საპროცენტო ხარჯი                                     |                   |                   |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                        | 2407.42           | 17601.7           |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                             | 8170.29           | 10593.6           |
| მოგების გადასახადი                                   | 0                 | 0                 |
| დივიდენდი                                            | 0                 | 0                 |
| <b>წმინდა მოგება (ზარალი)</b>                        | <b>395065.29</b>  | <b>416075.8</b>   |

შპს GNT - ის გენერალური დირექტორი:  
თამარ ვარსიმაშვილი



| ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა                   |                                          |                                               |
|---------------------------------------------------|------------------------------------------|-----------------------------------------------|
|                                                   | საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო<br>თარიღი | წინა საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო<br>თარიღი |
|                                                   | 2021                                     | 2020                                          |
| <b>აქტივები</b>                                   |                                          |                                               |
| ფული და ფულის ექვივალენტები                       | 217,264                                  | 647,938                                       |
| სავაჭრო მოთხოვნები                                | 1,077                                    | 128,702                                       |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოს    | 259,836                                  | 23,087                                        |
| ზედმეტად გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები     |                                          | 10,933                                        |
| ძირაგები                                          |                                          |                                               |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები                 | 1,601,595                                | 1,354,139                                     |
| - სხვა                                            | 1                                        | 4,295                                         |
| სხვა მიმდინარე აქტივები                           |                                          | 23,043                                        |
| ძირითადი საშუალებები                              |                                          |                                               |
| - მიწა                                            | 404,000                                  |                                               |
| - შენობა-ნაგებობები                               | 67,001                                   | 13,739                                        |
| - სხვა ძირითადი საშუალებები                       | 107,422                                  | 96,434                                        |
| - არამატერიალური აქტივები                         | 12,565                                   |                                               |
| <b>სულ აქტივები</b>                               | <b>2,670,761</b>                         | <b>2,302,310</b>                              |
|                                                   |                                          |                                               |
| <b>ვალდებულებები</b>                              |                                          |                                               |
| სავაჭრო ვალდებულებები                             | 11,235                                   | 15,888                                        |
| მიღებული სავაჭრო ვალდებულებები ავანსი             |                                          | 39,193                                        |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                |                                          |                                               |
| საგადასახადო ვალდებულებები                        |                                          |                                               |
| დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი |                                          |                                               |
| მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები                |                                          |                                               |
| ბანკებისგან ნასესხები თანხები                     |                                          |                                               |
| სხვა ნასესხები თანხები                            |                                          |                                               |
| სხვა ვალდებულებები                                | 29,682                                   | 20,996                                        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                          | <b>40,917</b>                            | <b>76,077</b>                                 |
|                                                   |                                          |                                               |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                          |                                          |                                               |
| კაპიტალი                                          |                                          |                                               |
| საემისიო კაპიტალი                                 |                                          |                                               |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                      |                                          |                                               |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                     | 2,629,844                                | 2,226,233                                     |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები              |                                          |                                               |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                      | <b>2,629,844</b>                         | <b>2,226,233</b>                              |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>     | <b>2,670,761</b>                         | <b>2,302,310</b>                              |
|                                                   |                                          |                                               |
| შპს GNT - ის გენერალური დირექტორი:                |                                          |                                               |
| თამარ ვარსიმაშვილი                                |                                          |                                               |



## ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

|                                                     | საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო<br>თარიღი | წინა საანგარიშგებო<br>პერიოდის ბოლო თარიღი |
|-----------------------------------------------------|------------------------------------------|--------------------------------------------|
|                                                     | 2021                                     | 2020                                       |
| <b>აქტივები</b>                                     |                                          |                                            |
| ფული და ფულის ექვივალენტები                         | 217,264                                  | 647,938                                    |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | 1,077                                    | 128,702                                    |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | 259,836                                  | 23,087                                     |
| ზედმეტად გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები       |                                          | 10,933                                     |
| ძირითადი                                            |                                          |                                            |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები                   | 1,601,595                                | 1,354,139                                  |
| - სხვა                                              | 1                                        | 4,295                                      |
| სხვა მიმდინარე აქტივები                             |                                          | 23,043                                     |
| ძირითადი საშუალებები                                |                                          |                                            |
| - მიწა                                              | 404,000                                  |                                            |
| - შენობა-ნაგებობები                                 | 67,001                                   | 13,739                                     |
| - სხვა ძირითადი საშუალებები                         | 107,422                                  | 96,434                                     |
| - არამატერიალური აქტივები                           | 12,565                                   |                                            |
| <b>სულ აქტივები</b>                                 | <b>2,670,761</b>                         | <b>2,302,310</b>                           |

|                                                   |        |        |
|---------------------------------------------------|--------|--------|
| <b>ვალდებულებები</b>                              |        |        |
| სავაჭრო ვალდებულებები                             | 11,235 | 15,888 |
| მიღებული სავაჭრო ვალდებულებები ავანსი             |        | 39,193 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                |        |        |
| საგადასახადო ვალდებულებები                        |        |        |
| დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი |        |        |
| მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები                |        |        |
| ბანკებისგან ნასესხები თანხები                     |        |        |
| სხვა ნასესხები თანხები                            | 29,682 | 20,996 |
| სხვა ვალდებულებები                                | 40,917 | 76,077 |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                          |        |        |

|                                               |                  |                  |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                  |                  |
| კაპიტალი                                      |                  |                  |
| საემისიო კაპიტალი                             |                  |                  |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                  |                  |                  |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                 | 2,629,844        | 2,226,233        |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები          |                  |                  |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>2,629,844</b> | <b>2,226,233</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>2,670,761</b> | <b>2,302,310</b> |

შპს GNT - ის გენერალური დირექტორი:  
თამარ ვარსიშვილი



**კომპანიის დასახელება შპს GNT**  
**ფულის მოძრაობის უწყისი**

|                                                     | 2020 წელი         | 2021წელი          |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფული პერიოდის დასაწყისში</b>                     | <b>0</b>          | <b>0</b>          |
| <b>შემოსავლები:</b>                                 |                   |                   |
| გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები სალარო | 336215.05         | 363253.7          |
| მიმდინარე დებიტორებისგან მიღებული თანხები           | 1683082.22        | 1596953.67        |
| სხვა მიღებული თანხები                               | 235656.81         | 243000            |
| <b>სულ შემოსული თანხები</b>                         | <b>2254954.08</b> | <b>2203207.37</b> |

|                                           |                   |                   |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>გასავალი საქონლის შეძენაზე:</b>        |                   |                   |
| შესყიდვები (უცხოელი მომწოდებლებიდან USD)  | 873036.51         | 1072952.88        |
| შესყიდვები (ადგილობრივი მომწოდებლებიდან ) | 562669.11         | 736074.21         |
| <b>სულ შესყიდვები</b>                     | <b>1435705.62</b> | <b>1809027.09</b> |
| <b>საოპერაციო ხარჯები:</b>                |                   |                   |
| სახელფასო ხარჯები                         | 102680            | 108070            |
| საბანკო მომსახურების ხარჯები              | 796.53            | 1406.18           |
| სხვა გასავლები                            | 67834.11          | 145187.37         |
| <b>სულ გაცემული თანხები</b>               | <b>1607016.26</b> | <b>2063690.64</b> |

|                                        |                  |                  |
|----------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან</b> | <b>647937.82</b> | <b>139516.73</b> |
|----------------------------------------|------------------|------------------|

|                                               |          |          |
|-----------------------------------------------|----------|----------|
| <b>ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:</b>       |          |          |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                  | 0        | 0        |
| კაპიტალური ხარჯები                            | 0        | 0        |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                 | 0        | 0        |
| <b>სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:</b> | <b>0</b> | <b>0</b> |

|                                 |                  |                  |
|---------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფული პერიოდის დასაწყისში</b> |                  |                  |
| <b>ფული პერიოდის ბოლოს</b>      | <b>647937.82</b> | <b>139516.73</b> |

შპს GNT - ის გენერალური დირექტორი:  
 თამარ ვარსიმაშვილი



კომპანიის დასახელება შპს GNT  
ფულის მოძრაობის უწყისი

|                                                     | 2020 წელი         | 2021 წელი         |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფული პერიოდის დასაწყისში</b>                     | <b>0</b>          | <b>0</b>          |
| <b>შემოსავლები:</b>                                 |                   |                   |
| გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები სალარო | 336215.05         | 363253.7          |
| მიმდინარე დებიტორებისგან მიღებული თანხები           | 1683082.22        | 1596953.67        |
| სხვა მიღებული თანხები                               | 235656.81         | 243000            |
| <b>სულ შემოსული თანხები</b>                         | <b>2254954.08</b> | <b>2203207.37</b> |
| <b>გასავალი საქონლის შეძენაზე:</b>                  |                   |                   |
| შესყიდვები (უცხოელი მომწოდებლებიდან USD)            | 873036.51         | 1072952.88        |
| შესყიდვები (ადგილობრივი მომწოდებლებიდან)            | 562669.11         | 736074.21         |
| <b>სულ შესყიდვები</b>                               | <b>1435705.62</b> | <b>1809027.09</b> |
| <b>საოპერაციო ხარჯები:</b>                          |                   |                   |
| სახელფასო ხარჯები                                   | 102680            | 108070            |
| საბანკო მომსახურების ხარჯები                        | 796.53            | 1406.18           |
| სხვა გასავლები                                      | 67834.11          | 145187.37         |
| <b>სულ გაცემული თანხები</b>                         | <b>1607016.26</b> | <b>2063690.64</b> |
| <b>ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან</b>              | <b>647937.82</b>  | <b>139516.73</b>  |
| <b>ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:</b>             |                   |                   |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                        | 0                 | 0                 |
| კაპიტალური ხარჯები                                  | 0                 | 0                 |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                       | 0                 | 0                 |
| <b>სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:</b>       | <b>0</b>          | <b>0</b>          |
| <b>ფული პერიოდის დასაწყისში</b>                     |                   |                   |
| <b>ფული პერიოდის ბოლოს</b>                          | <b>647937.82</b>  | <b>139516.73</b>  |

შპს GNT - ის გენერალური დირექტორი:  
თამარ ვარსიმაშვილი





## საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

|                                     |   | მოგება/ზარალი | სულ        |
|-------------------------------------|---|---------------|------------|
| <u>ნაშთი 2021 წლის 1 იანვარის</u>   | 0 | 2223142.62    | 2223142.62 |
| <u>2021 წლის მოგება/ზარალი</u>      | 0 | 406701.62     | 406701.62  |
| <u>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</u> | 0 | 2629844.24    | 2629844.24 |
|                                     |   |               |            |
|                                     |   |               |            |
|                                     |   |               |            |
| შპს GNT - ის გენერალური დირექტორი:  |   |               |            |
| თამარ ვარსიმაშვილი                  |   |               |            |

## საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

|                                   |   | მოგება/ზარალი | სულ        |
|-----------------------------------|---|---------------|------------|
| <u>ნაშთი 2021 წლის 1 იანვარის</u> | 0 | 2223142.62    | 2223142.62 |
| <u>2021წლის მოგება/ზარალი</u>     | 0 | 406701.62     | 406701.62  |
| <u>ნაშთი 2021ლის 31 დეკემბერს</u> | 0 | 2629844.24    | 2629844.24 |

შპს GNT - ის გენერალური დირექტორი:  
თამარ ვარსიმაშვილი



ინფორმაცია კომპანიის შესახებ

**შპს "GNT"** ს/კ 401953775 დაფუძნებულია 2010 წლის 01 დეკემბერს. საწარმოს დამფუძნებელი, დირექტორი და 100 წილის მფლობელია თამარ ვარსიმაშვილი პ/ნ 01030024204.

**შპს "GNT"** წარმოადგენს ისეთ ცნობილ ბრენდებს, როგორიცაა ZKTECO, DAHUA, KOCOM, LONGHORN, IHORN, NORDSON, RUBEZH, TANSO, UNAL CABLE, ERSE CARBO, ELAN,

**შპს "GNT"** წარმოადგენს უსაფრთხოების და დაცვითი სისტემების კომპანიას, რომელიც 2010 წლიდან თქვენთვის და თქვენი ბიზნესისთვის ქმნის კომფორტულ გარემოს. ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ, როგორც სხვადასხვა უსაფრთხოების სისტემებს, ასევე თანამშრომელთა აღრიცხვის თანამედროვე სისტემებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას. შპს "GNT" ორიენტირებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე, რასაც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი გუნდით. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მომსახურების ხარისხსა და სანდოობას.

**შპს "GNT"** მიზანია, რაც შეიძლება მეტ კომპანიას და ფიზიკურ პირს დაეხმაროს, რომ მათი უსაფრთხოების სისტემა შეესაბამებოდეს საერთაშორისო დონის სტანდარტებს, შესთავაზოს მათ მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

თანამშრომლობის პერიოდში, ხდება პროცესების ოპტიმიზაცია, რაც ხელს უწყობს რისკების მართვას კანონმდებლობის შესაბამისად მუშაობას.

**შპს "GNT"** მიერ დანერგილი ინოვაციური მიდგომები ჩვენს პარტნიორებს ხელს უწყობს სწორი უსაფრთხოების სისტემების არჩევაში გადაწყვეტილებების მიღებას.

საქართველოს მასშტაბით ოპერირებს კომპანიის მონტაჟის ჯგუფი.

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

განცხადება შესაბამისობის შესახებ მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

#### **ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

#### **ძირითადი საშუალებები**



ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფი როდესაც შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

### **ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები**

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

### **დამატებითი ღირებულების გადასახადი.**

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქციის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღე ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ს მიმართ, დღე-ს ანგარიშგაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღე-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღე-ს ჩათვლით.

### **მარაგები**

მარაგები წარდგენილია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

### **სავაჭრო დებიტორები**

სავაჭრო დებიტორები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

#### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.**

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### **შემოსავლების აღიარება.**

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

#### **დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.**

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

#### **საბანკო ვალდებულებები.**

კომპანიას საბანკო ვალდებულებები არ გააჩნია.

#### **გადავადებული გადასახადი**

კომპანიას გადავადებული გადასახდის ვალდებულება არ ერიცხება

პირობითი ვალდებულებები.

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

#### ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენია: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ კომპანიის მომწოდებლებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობა არის უცხოელი მომწოდებელი, მაგრამ საქონლის შეძენა ხდება წინასწარი გადახდის პირობით რაც ნიშნავს რომ კომპანია არ ექვემდებარება კრედიტორული დავალიანების გადაფასებით გამოწვეული ფინანსური რისკებს. თუმცა აუცილებელია სარეალიზაციო პროდუქციის ფასების სწორად დადგენა, რათა არ მოხდეს საბრუნავი თანხების განუზომელი ზრდა შესასყიდი პროდუქციის ღირებულების გაზრდის გამო

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2022 წლის 30 სექტემბერს.

შპს GNT-ის გენერალური დირექტორი:

თამარ ვარსიმაშვილი

